ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7051024

ნომერი: AR11038795

თარიღი : 28.05.2024

გაცემის თარიღი : 28.05.2024

გაცნობის თარიღი : 28.05.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ერწო , N 15 ; ქალაქი თბილისი , ერწოს ქ. , N15-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ერწო , N 17 ; ქალაქი თბილისი , ერწოს ქუჩა კორპ.N13-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 28

მაისს №AR11038795 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებით შეთანხმდა №01.12.08.010.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 08 აპრილიდან 2026 წლის 25 აპრილის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 15 მაისის №7025348 გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 11665.6 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 1860.5 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 3379.8 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2024 წლის 20 მაისის №7032056 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებაში და აუზის ფართობად დაფიქსირდა 328.3 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებაში არასწორად აისახა შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი. შესაბამისად ითხოვს საერთო ფართობად 27581.5 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 27576.9 კვ.მ.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებით შეთანხმებული საერთო ფართობი შეადგენს 27576.9 კვ.მ-ს, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 27576.9 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 08 აპრილის №6972633 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.